



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 14



2013 წლის 5 თებერვალი
ქალაქი ხაშური

ავტომანქანის (ნივა VAZ 2121) სათადარიგო ნაწილების და თანმდევი მომსახურების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

2013 წლის 15 იანვარს (სატენდერო განცხადება SPA130001046) და 2013 წლის 18 იანვარს (სატენდერო განცხადება SPA130001465) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერები ავტომანქანის (ნივა VAZ 2121) სათადარიგო ნაწილების და თანმდევი მომსახურების შესყიდვაზე, რომლებსაც 2013 წლის 18 იანვარს და 2013 წლის 24 იანვარს მიენიჭათ სტატუსი „ტენდერი არ შედგა“. მუნიციპალიტეტის გამგეობის კუთვნილი ავტომანქანის ნივა VAZ 2121-სათვის სათადარიგო ნაწილების და თანმდევი მომსახურების შესყიდვა კი აუცილებლობას წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის 2013 წლის 4 თებერვლის მოხსენებითი ბარათისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #52 დადგენილებით დამტკიცებული ხაშურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შესაბამისად:

1. განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგეობის კუთვნილი ავტომანქანა ნივა VAZ 2121-სათვის სათადარიგო ნაწილების და თანმდევი მომსახურების გამარტივებული შესყიდვა.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განხორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე